

**KUKURI
TSIKARISHVILI
NANA BOLASHVILI**

Tbilisi
2013

AUTHOR-COMPILERS

გუკური ჭიქა-
რიშვილი
ნანა ბოლაშვილი

**THE SHORT
REFERENCE
BOOK
OF THE
KARST
CAVES OF
GEORGIA**

საქართველოს
კარსტული
მღვიმეების
მოკლე ცნო-
ბარი

Tbilisi
2013

uak (UDC)

საქართველოს კარსტული მდგომების ცნობარში შესულია დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა დიდი თუ პატარა კარსტული ობიექტის (მდგომარეობრივი, უფლებული, შახტი, ჭაბული) სახელწოდებანი მოკლე მონაცემებით, 840 მდგომარეობრივი, უფლებული, დანართი ცხრილის სახით 411, წერილობითი ინფორმაციისა და გრაფიკული მასალების მიხედვით 58 ობიექტი, სულ 1310 ერთეული.

ერთი და იგივე სახელწოდება ხშირად რამდენიმე სახელეობიექტს აქვს მიკუთვნებული. ასეთ შემთხვევაში სახელწოდებას მითითებული აქვს სათანადო დასახლებული პუნქტი.

როდესაც მდგომარეობა სახელით არის ცნობილი, ცნობარში ნაჩვენებია ყველა სახელი ერთად. მაგ., აღმაგალი (ახალი ათონის „ქველი“, სტალაქტიტური, ფსირცხის) მდგომარეობა ა.შ. წიგნში შესულია მდგომეთა ქართული კუთხეური (მეგრული, აფხაზური) სახელწოდებებიც.

Names with brief data of almost all large and small karst objects (caves, abysses, shafts, wells, etc.) of western Georgia, in total more than 850 units, are included in the Short Reference Book of the Karst Caves of Georgia.

The one and the same name is often attributed to a several speleological objects. In such

case, a proper settlement is referred to this name.

When the cave is known by several names, all names are displayed together. For example, Aghmavali (Akhali Atoni's "Dzveli", Stalactite, Psirtska) Cave, etc. The book includes the Georgian regional (Me)caves Georgian corner (Mengrelian, Abkhazian) names of the caves as well.

იბეჭდება ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით.

redaqtori geografiis
mecnierebaTa doqtori,
profesori koba xaraZe

recenzentebi: geografiis
doqtori merab gongaZe
geografiis doqtori
giorgi lominaZe

©, ქუთარი წიქარიშვილი, ნანა
ბოლაშვილი, 2013

ISBN

9061815820

საქართველოს მდგომარეობაში როგორც

ბუნების	ფენომენები,	საქართველოს	მდგიმარეობა
უხსოვარი დროიდან იპყრობს	გამოქვაბულების კვლევა.		
ურადღებას. ისინი ხშირად	უკვე გასული საუცხის 50-		
მოიხსენიება მველ ქართულ	იანი წლებისათვის საქართვე-		
მატიანებსა და ლიტე-	ლოს კარსტული რელიეფი		
რატურულ	ძეგლებში	მოითხოვდა გეგმაზომიერ,	
(ჯუანშერი, რუსთაველი,		სისტემატურ კვლევას და მათ	
სულხან-საბა თრბელიანი და		ათვისებას მეურნეობის შემ-	
სხვ.), აგრეთვე უცხოელ		დგომი განვითარებისათვის. ამ	
მკლევრთა და მოგზაურთა		მიზნით, საჭირო გახდა სპე-	
თხზულებებში (სტრაბონი,		ციალური მაკორდინირებელი	
არქანჯელო ლამბერტი,		ორგანოს შექმნა. აკადემიკოს	
დიუბუა დე მონპერე, ედუარდ		ალექსანდრე ჯავახიშვილისა	
ალფრედ მარტელი და სხვ.).		და პროფესორ ლევან მარუ-	
განსაკუთრებით	უნდა	აშვილის ინიციატივით 1958	
მოვიხსენიოთ	XVIII ს-ის	წელს, ვახუშტი ბაგრატიონის	
გამოჩენილი	გეოგრაფიის	სახელობის გეოგრაფიის ინ-	
ვახუშტი	ბაგრატიონის	სტიტუტში შეიქმნა კარსტო-	
ენციკლოპედიური	შინაარსის	ლოგიისა და სპელეოლოგიის	
„საქართველოს	გეოგრაფია“,	ლაბორატორია, რომლის	
რომელშიც	მოცემულია	ხელმძღვანელად დაინიშნა	
საინტერესო	ცნობები	დოცენტი შალვა ყიფიანი.	
ცალკეულ	კარსტულ	პარალელურად, იმავე წელს	
მდგიმებასა და წყაროებზე,		საქართველოს მეცნიერებათა	
განსაკუთრებით კი ქარაფოვან		აკადემიის პრეზიდიუმთან	
კლდეებში	ხელოვნურად	დაარსდა სპელეოლოგიური	
ნაკვეთ ნაგებობებზე – ქვაბ-		კომისია აკადემიკოს ნიკო	
სახიზარებსა	და გამო-	კეცხოველის თავმჯდო-	
ქვაბულებზე.	შეიძლება	მარეობით. ახლად შექმნილი	
დაბეჯითებით	ითქვას, რომ	მაკონტროლებელი	
ვახუშტი	ბაგრატიონის	ორგანოების წინაშე დაისვა	
ეპოქიდან	იწყება	ამოცანა – საქართველოს	
		კარსტის გეოგრაფიული	

კანონზომიერებების შესწავლა. ამასთან, განსაკუთრებული ურადღება უნდა დათმობოდა კარსტული მდვიმე-უფსკრულების გამოვლენას, აგლეას და აღრიცხვას. მანამდე კი, კერძოდ, 1925 წელს პეტრე ჭაბუკიანმა სათაფლის მაღლობზე მიაკვლია კარსტულ მდვიმეს, რომელიც მისივე შრომითა და მონდომებით, დროის მოკლე პერიოდში ბუნების ერთ-ერთ იშვიათ სანახაობით ძეგლად გადაიქცა. ამით მან დიდი დგაწლი დასდო საქართველოში სპელეოლოგის პოპულარიზაციისა განვითარების საქმეს.

შემდეგში გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეო-საექსპედიციო რაზმების მიერ შესწავლილი და ნაწილობრივ გამოკვლეულ იქნა 300-ზე მეტი სპელეოლოგიური ობიექტი. მოპოვებული მასალების განზოგადების საფუძველზე ლაბორატორიამ უკვე 1966 წელს გამოსცა „საქართველოს კარსტული მდვიმეების კადასტრი“. ყოველ მომდევნო საექსპედიციო სეზონს ახალ-

ახალი აღმოჩენები მოჰქონდა, ივებოდა და მდიდრდებოდა ცოდნა კარსტული მდვიმეების შესახებ, რასაც მოჰყვა „საქართველოს კარსტული მდვიმეების კადასტრის“ ახალი გამოცემა (ზურაბ ტაბაშიძე, კუბური წიქარი-შვილი, ჯუმბერ ჯიმკარინი, 2009), რომელშიც უკვე 1300-ზე მეტი კარსტული მდვიმე-უფსკრულის მონაცემია შესული. გამოკვლეულ მდვიმეთა უმრავლესობა მეცნიერთათვის უცნობი იყო. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ: ახალი ათონის მდვიმური სისტემა, რომლის უნიკალურობას მიწისქვეშა დარბაზების გიგანტურობა განსაზღვრავს – მოცულობით ($>1,5$ მლნ მ³) ერთ-ერთი უდიდესი ევრაზიის კონტინენტზე, პლასურის, წევარასა და ამტყელის ფსკერქვეშა მდვიმური სისტემები, ტობას მრავალსართულიანი მდვიმური სისტემა, ცხრაჯვარის ციკლგავლილი მდვიმეები, კუდარო-წონა-ჯრუჭლას პალეოლითური ეპოქის ძეგლები, ცუცხვათის მრავალსართულიანი მდვიმოვანი, წყალტუბოს (ყუმისთა-

ვის) მდგიმური სისტემა და სხვ. ამასთან, საგანგებოდ უნდა ადინიშნოს, რომ საქართველოს ყველაზე საინტერესო მიწისქვეშა მდინარეთა აუზები (მჭიშთა, წაჩხურა, ციფრულადა და სხვ.), რომელთა წიაღში არსებითი ხასიათის აღმოჩენებია მოსალოდნელი, ჯერჯერობით სრულიად შეუსწავლულია.

ინსტიტუტის თანამშრომლებმა (ზურაბ ტატაშიძე, ლევან მარუაშვილი, შალვა ყიფიანი, ჯუმბერ ჯიშგარიანი, არსენ ოქროჯანაშვილი, ბორის გერგედავა, ომარ ერქომაიშვილი, თამაზ კიკნაძე, გიგი გიგინეიშვილი, პუპური წიქარიშვილი, ზაზა ლეუვა, კიაზო რაქვიაშვილი, თამაზ ქობულაშვილი, ამირან ჯამრიშვილი, ვახტანგ კაპანაძე, გიორგი გელაძე და სხვ.), აგრეთვე სხვადასხვა დროს ექსპერიციებში დორებით მოწვევლმა მოყვარულმა სპელეოლოგებმა (ლადო ქალდანი, რობერტ ნავერიანი, გიორგი გვიმრაძე, რობერტ სუჯაშვილი, ჯუმბერ ხომასურიძე, ჰამლეტ მაისაძა, გივი სმირნი, ვერნი ალფაიძე)

და სხვ.) მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარეს ახალი ათონის, სათაფლიის, წყალტუბოს (პრომეთეს), ნავენახევის მდგიმური სისტემების შესასწავლად, რაც შემდგომში საფუძვლად დაედო ბუნების ამ შესანიშნავი სპელეოობიექტების ტურისტული მიზნებისათვის აღჭურვას.

საქართველოს კარსტული მდგიმების კომპლექსური კვლევის საქმეში დიდია პეტრე ჭაბუკიანის, დემურ ტაბიძის, კარლო ლიფონავას, გივი გიგინეიშვილის, ილია აფხაზავას, ჭიჭიკო ჯანელიძის, დავით სიმონიშვილის, ელენე აბაშიძის, ნანა მამაცაშვილის, რეზო ხაზარაძის, კობა ხარაძის, ნიკოლოზ ასტახოვის, ედუარდ ნაკაიძის, მოსე და ელენე სოხაძეების, დავით მატკავას, იგორ ბონდირვევის, მერაბ გონგაძის, კუკური მგელაძის, რეზო ჯანაშვილის, გრიგოლ დევდარიანის, ზურაბ აძინბას, დავით და ნიკა თუშაბრამიშვილების, გივი გაფრინდაშვილის, აბესალომ ვეკუას, იორამ თარხან-მოურავის, გივი ჯაშის, დავით

ციციშვილის, ავთანდილ
თარხნიშვილის, გრიგოლ
ტაბადუას, იორამ თარხან-
მოურავის, რეზო კაგვასიძის,
კოტე დანელიას, ომარ
ლანჩავას, მერაბ
თათარიშვილის, ოთარ
ჩხეიძის, ალიძ თვალთვაძის,
დავით დვალის, თენგიზ მეტვე-
ლიანის, ლადო ქალდანის, იუ-
რი ავდალოვის, გვანჯი მანიას,
თამაზ ბაქანიძის, ოთარ
ბენდუქიძის, შალვა ბარჯაძის,
ელისო და ერისტო ყვავაძე-
ების, საშა ბუხნიკაშვილის,
იგორ ფიჩხაიას, რომან
თოლორდავას, მამუკა ნიკო-
ლაძის, ვახტანგ ჩიხრაძის, ელ-
გუჯა ჯამრიშვილის და სხვა
მონათესავე სპეციალობების
მეცნიერთა და მოყვარულ
სპელეოლოგთა დგაწლი. მისა-
სალმებელია რომ, ბოლო სა-
ნებში, საქართველოს კარსტის
გეოგრაფიული შესწავლილო-
ბით დაინტერესდნენ თბილი-
სის სახელმწიფო უნივერსიტე-
ტის სტუდენტები, ახალგაზ-
რდა მეცნიერ მუშაკები, საჯა-
რო სკოლის მოსწავლეები, რა-
შიც გარკვეული წვლილი შე-
აქვს ასისტენტ-პროფესიონალურ
დანელიაშვილს. მათ შო-

რის აღნიშვნის დირსია გეოგ-
რაფიის ინსტიტუტის
გეომორფოლოგიისა და გეოგ-
კოლოგიის განყოფილების
მეცნიერ თანამშრომელი, დოქ-
ტორანტი ლაშა ასანიძე, რო-
მელმაც საკვალიფიკაციო თვ-
მად რაჭის კირქვული მასივის
კარსტი და ამ მეტად როული
გეომორფოლოგიური პრობლე-
მის კვლევა დაისახა მიზნად.
საქართველოში უდრმესი კარ-
სტული მდვიმების აღმოჩენა-
სა და კვლევაში, ქართველ
სპელეოლოგებთან ერთად
მნიშვნელოვანი წვლილი მი-
უძღვით რუსეთისა და უკრაი-
ნის სხვადასხვა ქალაქების
(ვორონეჟი, დნეპროპეტროვსკი,
ირკუტსკი, კიევი, კაუნასი,
კრასნოიარსკი, სანკტ-პეტერ-
ბურგი, მოსკოვი, ნოვოკუზნეც-
კი, ნოვოსიბირსკი, პერმი, სიმ-
ფეროპოლი, ტომსკი, ჩელია-
ბინსკი და სხვ.), აგრეთვე
საფრანგეთის, ჩეხეთის,
პოლონეთის, სლოვენიის და
ევროპის სხვა წამყვანი
სპელეოლოგიური ქვეყნების
სპელეოსექციებისა და
ფედერაციების კარგად
გაწვრთნილ პროფესიონალურ
და მოყვარულ სპელეოლოგთა

საექსპედიციო რაზმებს, გივი მოდებაძე, ბესიკ
 რომელთა მიერ მიკვლეული ღვალაძე (ჭიათურა), იმედო,
 და ავტორის გადამუშავებული გიორგი (ქორა), შოთა, ამირან
 რიგი კარსტული ჭებისა და და ვაჟა ტფაბლაძეები, გურამ
 შახების მორფომეტრიული სვანიძე (წყალტუბო), ვალერი
 მონაცემები, სიღრუის შიფრისა შენგავლია, როლანდ
 და სპეციალური საკადასტრო ქვარცხავა, მურმან და იგორ
 ნომრის მიხედვით ნაჩვენებია ბოჯგუები (ჩხოროწყუ),
 ტერმინების განმარტების გორდები, ფაზა და რეგაზ
 ბოლოს, დანართში - ქარდა ქარდაგები, ლევან ქუხილავა
 ცხრილის სახით. გარდა (წალენჯიხა), იპოლიტე
 ამისა, ჩვენს ხელთ არსებული გორელაშვილი, გია
 წერილობითი ინფორმაციისა ბებაშვილი, გიგა დოლონაძე
 და გრაფიკული მასალების (ცუცხვათი) იგორ კეკელია
 მიხედვით, ბზიფის კირქვულ (მარტვილი) და ათობით
 მასივზე მიკვლეულია 58 ახალგაზრდა, სხვადასხვა
 სპელეოლოგებით, რომელთა სოფლის მცხოვრები და
 ჯამური სიღრმე 5225 მ, ხოლო საჯარო სკოლის
 გაჭიმულობა 2600 მ-ს მოსწავლეები.
 შეადგენს (მათი წინამდებარეობა უცნობია). წერტულ
 ადგილმდებარეობა საექსპედიციო ქართველია
 რაზმებს ვალზე მუშაობის მეტადების მიერ წლების
 დროს დიდ დახმარებას (1958-2013) მანძილზე მეტად
 უწევდნენ ადგილობრივი გეომორფოლოგიურ და
 მცხოვრებლები, მოყვარული, გეოლოგიურ პირობებში
 ენთუზიასტი სპელეოლოგები. მოპოვებული 850-მდე
 მათ შორის აღნიშვნის დირსია კარსტული მდვიმის მოკლე
 გივი სმირი, ვალერი გუმბა, სავაროვი, აშოგ საველე
 ალექსეი უვაროვი, აშოგ მოპოვების მდვიმის მოკლე
 აბაშიანი (ახალი ათონი), დალაგებული. ზოგიერთ
 ბიჭია გაფრინდაშვილი, დათო მნიშვნელოვან მდვიმეს თან
 და ავთანდილ ხვედელიძეები, ახლავს შესაბამისი

გრაფიკული და ფოტომასალა, გეგმები, ჭრილები, ბლოკ-დიაგრამები, რომლებიც კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორიის თანამშრომ-ლებთან ერთად გვუთვით საქართველოს კარსტულ ზოლში, სხვადასხვა წლებში მომუშავე უცხო ქვეყნის სპელეოსაექსპედიციო რაზმებს. შესავალის ნაწილში მოცემულია იმ ქართველ მეცნიერთა მოკლე ბიო-გრაფიული ცნობები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მდგიმების შესწავლის ფუძემდებლებად ითვლებიან.

ჯეროვანი პატივი უნდა მივაღოთ აწ გარდაცვლილი გამოჩენილი მამულიშვილების – აკადემიკოს ნიკო კეცხოველის, პროფესორ ლევან მარუაშვილის, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ზურაბ ტატაშიძის, დოცენტ შალვა ყიფიანის, დოცენტ ბორის გერგედავას და სხვა მკვლევარების ნათელ სხოვნას, რომელთაც ბევრი გააკეთეს ჩვენი ქვეყნისათვის ესოდენ პრიორიტეტული და პრესტიული სამეცნიერო

დარგის
მდგიმეთმცოდნეობის
დაფუძნებისათვის.

ლევან მარუაშვილი (1912-1992)



ქართველი ბეოგრაფი, გეომორ-ფოლოგი, კარსტოლოგი, სპელეოლოგი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფი და ვახუშტი ბაგრატიონის პრემიების, ხ. მ. პრექცალსკის სახელობის ოქროს მედლის ააგადერი. ლევან მარუაშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო გეოგრაფიის ინსტიტიტში სპელეოლოგიური ლაბორატორიის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან სპელეოლოგიური კომისიის, ხოლო რესპუბლიკის სპორტის კომიტეტთან სპელეოსპორტული ფედერაციის დაარსებაში; პარალელურად დაამუშავა რიგი ზოგადთეორიული საკითხები კარსტის პრობლემატიკაში, მათ შორის კარსტოსფეროს სივრცის სხვა გეოსფეროებთან ურთიერთობისა და აღნაგობის ცნებები, კარსტულ მდგიმეთა სართულიანობის გენეზისი, მორფოლოგიური კლასიფიკაცია და

ურთიერთობა
 ტერასთწარმოქმნასთან,
 სამეცნიელოს მაგალითზე
 კლასტოგარსტის შესაძლო
 მასშტაბები და გენეტიკურ-
 მორფოლოგიური თავისებურებანი
 და მრავალი სხვა, როთაც
 საქართველოში მეცნიერების
 ახალი დარგის – კარსტმცოდ-
 ნების (მდგომეთმცოდნეობის)
 ერთ-ერთი დამფუძნებლის სახელი
 დაიმკვიდრა. მანვე დიდი წლილი
 შეიტანა კარსტული მდგომების
 პლანისა და პოპულარიზაციის
 საქმეში. 1957 წელს მისი
 რედაქტორობით და
 წინასიტევაობით
 („საქართველოგიური
 გამოცემების პერსპექტივები
 საქართველოში“) გამოქვეყნდა
 ცნობილი ფრანგი მკვლევარის
 ნორბერტ კასტერეს სამეცნიერო-
 პოპულარული წიგნის („ათი წელი
 მიწის ქვეშ“) პირველი ქართული
 გამოცემა, ხოლო ცოტა
 მოგვიანებით (1963) მისი
 სამეცნიერო-პოპულარული წიგნი
 – „შუქი ბნელეთში“. ამ
 დროისათვის ქართულ ენაზე არ
 იყო გამოცემული მსგავსი მონო-
 გრაფიები, რამაც დიდი როლი
 ითამაშა ახალგაზრდობის
 მდგომებით დაინტერესების
 საქმეში. 1973 წელს გამოქვეყნდა
 სახელმძღვანელო უმაღლესი
 სასწავლებლების
 სტუდენტებისათვის –
 „მდგომეთმცოდნეობის
 საფუძვლები“, რამაც დიდი როლი
 შეასრულა ახალგაზრდა
 სპეციალისტების მომზადების
 საქმეში. მთელი თავისი

შეგნებული სიცოცხლე ლევან
 მარჯაშვილმა ქართული
 საბუნებისმეტყველო მეცნიერების
 განვითარებას, და მათ შორის,
 საქართველოს სპელეოლოგიასა
 და კარსტმცოდნეობას მიუძღვნა.

ზურაბ ტატაშიძე (1928-2011)



ქართველი
 გეოგრაფი,
 გეომორფო-
 ლოგი, კარს-
 ტოლოგი,
 საქართველო-
 გი, გეოგრა-
 ფოულ
 მეცნიერება-
 თა დოქტო-
 რი, პროფესორი, საქართველოს
 ეროვნული მეცნიერებათა
 აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,
 სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,
 ღირსების ორდენის პავალერი.
 მის სამეცნიერო მოღვაწეობაში
 განსაკუთრებული ადგილი საქ-
 ლეოლოგიას – კარსტული
 მოვლენების მეტად რთული
 პრობლემების კვლევას
 განეკუთვნება, რაშის მან დიდი
 წელილი შეიტანა არა მარტო
 საქართველოს, არამედ ურალის,
 მთიანი ყირიმის და ევროპის
 სხვა წამყვანი ქვეყნების
 (ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი,
 იუგოსლავია და სხვ.) მასშტაბით.
 პროფესორ ლევან
 მარჯაშვილთან ერთად იგი
 ახალი, პრესტიული სამეცნიერო
 მიმართულების –

მდგვიმეთმცოდნეობის ერთ-ერთი დამტუმნებელია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც. განუზომელია მისი დგაწლი არაბიკის, ბზიფის, ოხაჩქუეს, რაჭის, გუმიშხა-ფსირცხის და საერთოდ, საქართველოს კირქვული მასივების კვლევაში. სენსაციური იყო 1987-88 წლების შედეგები, როცა მისი აქტიური მონაწილეობით გამოვლინდა დედამიწაზე ინდიკატორული ექსპერიმენტებით დადასტურებული უღრმესი (2345 მ) „ნაფრა-მჭიშთას“ ჰიდროგეოლოგიური სისტემა. ამ ფაქტმა საერთაშორისო მნიუშენელობა შეიძინა, ხოლო საქართველოს კარსტულმა ფენომენებმა უცხოელ მკვლევართა საყოველთაო უურადვება მიიპყრო. პროფ. ლევან მარუაშვილთან ერთად მის მიერ მეცნიერებაში შემოტანილი იქნა „კარსტოსფეროს“ (ცნება. დიდი წლილი შეიტანა კარსტული მდგრებების კვლევისა და პოპულარიზაციის საქმეში. საქართველოს ტელევიზიითა და რადიოთი სისტემატურად გადაიცემოდა მის მიერ მომზადებული პულიცისტური ნარკავები, კითხულობდა ლექციებს საქართველოს უნივერსიტეტის სისტემების მდგვიმური მნიშვნელობის შესახებ. ჩატარებულმა ღონისძიებებმა დიდი როლი ითამაშა ქართველი ახალგაზრდობის მდგრმებით დაინტერესების საქმეში. იგი განლდათ ახალი ათონის მდგიმური სისტემის 1961 წლის სპელეოექ-

სპედიციის მოიერიშე რაზმის ხელმძღვანელი. ამ უნიკალური მიწისქეშა ძეგლის აღმოჩენასა და შესწავლაში შეტანილი დიდი წვლილისათვის ავტორთა კოლექტივთან ერთად ქვეყნის უმაღლესი ჯილდო – სახელმწიფო პრემია მიენიჭა (1977).

შალვა ყიფიანი (1912 – 1994)



ქართველი გეოგრაფი, აზოვის მოროვე, ლოგი, კარსტოლოგი, სახელმწიფო

პრემიის ლაურეატი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტში 1958 წელს ახლად შექმნილი კარსტოლოგიისა და სპელეოლოგიის ლაბორატორიის გამგებელი, რომელსაც იგი 1975 წლამდე ხელმძღვანელობდა. ახალ ათონში ჩატარებული პირველი სპელეოლოგიური ექსპედიციის (1961) ხელმძღვანელი. მისი სამეცნიერო შრომები მირთადად საქართველოს კარსტული რელიეფის გა-

მოკვლევა-შესწავლას ეძღვნება. დაჯილდოებულია სსრ კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს, აფხაზეთისა (1966) და საქართველოს (1984) უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლით (1976).

ბორის გერბედავა (1931-2006)



ქართველი
გეოგრაფი,
სპეციალისტი,
ქარსტოლოგი,
გეოგრაფი-
ულ მეცნიერებათა პან-
დიდატი,
დოკტორი.

ახალი ათონის მდგიმის ერთ-ერთი პირველი აღმომჩენთაგანი. განსაკუთრებული წვლილი შეიტანა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საერთოდ კავკასიის ქალასტონებრული მდგიმების აღმოჩენასა და კვლევაში. მანვე დაადასტურა მდგიმებთა კომპლექსის, როგორც განსაკუთრებული გეოგრაფიული კლემენტის გამოყოფის იდეა. განსაზღვრა მდგიმების ლანდშაფტის საგანი. წამოაყენა ახალი შეხედულება მდგიმესა და მის ფორმათ-წარმოქმნაზე. შეიმუშავა მდგიმების გენეტური, მორფოლოგიური

და კლიმატო-ჰიდროლოგიური კლასიფიკაციები. დაჯილდოებულია აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1966).

თამაზ პიპაძე (1936-1991)



ქართველი ბეოლოგი,
კარსტოლოგი,
სპეციალისტი,
ბეოლოგია-
მინერალოგიის

მეცნიერებათა დოქტორი. 1960 წლიდან მუშაობდა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში სპეციალისტური საბჭოს სწავლული მდინარე. თამაზ კიკნაძის პალეოზის საგანს კარსტო- და სპეციალისტის პრობლემები შეადგენდა. მრავალი წლის მანძილზე ველზე მოპოვებული მეცნიერული შედეგების საფუძველზე ჩამოაყალიბა ბუქებრივი ფაქტორების გავლენა კარსტული პროცესების დინამიკაზე. არაბიკის კირქვული მასივის მაგალითზე დაადგინა მთიანი ქვეყნების კარსტისა და კარსტული წყლების ფორმირების ძირითადი კანონზომიერებანი, რის საფუძველზეც ჩამოაყალიბა ახალი მეცნიერული მიმართულება – მოძღვრება მთის კარსტის მიწისქვეშა ნაკადებზე. მი-

სი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით აღმოჩენილია მსოფლიოს უდრმესი კარსტული წეალებების სისტემა გაგრის ქადზე. წლების მანძილზე (1978-89) იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს თავმჯდომარე, საქართველოს სპეციალური საზოგადოების პერზიდენტი. დაჯილდოებულია ჩეხოსლოვაკიის საქართველოს საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის ოქროს მედლით (1987).

არსენ ოქროჭანაშვილი (1930-1965)



ქართველი გეოგრაფი, გეომორფოლოგი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ასხის კირქვულ მასივზე ტრაგიკულად დადგული

საქართველოგი არსენ ოქროჭანაშვილი იყო პირველი, რომელიც გზას ევალავდა ახალი ათონის მდგიმის მანამდე უცნობ მიწისქვეშა დარბაზებსა და ხვრელებში. თავისი ხანძოელების სიცოცხლის მანძილზე მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს კარსტის შესწავლაში. სხვადასხვა წლებში მონაწილეობდა გუმიშხა-

ფსირცხის, გუმისთა-კელასურის, ოკრიბა-არგვეთის, წებელდის, ბზიფის, არაბიერისა და ასხის კირქვული მასივების შემსწავლელ საელეონექსპედიციებში. ახალი ათონის მდგიმის აღმოჩენაში შეტანილი დიდი წლილისათვის სხვა ქართველ მეცნიერთა და მშენებელთა ჯგუფთან ერთად იგი სსრ კავშორის სახელმწიფო პრემიით (1977) დაჯილდოვდა (სიკვდილის შემდეგ). მის სახელს ატარებს მდგიმე ასხის კირქვულ მასივზე.

ტაბიმე (1933-2006)



ქართველი გეოგრაფი, გეომორფოლოგი, განათლებათა დოქტორი. ინსტი-

ტუტში ახლად შექმნილი კარსტოლოგისა და საქართველოგიის ლაბორატორიის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობდა სპეციალურების სამდლის, ასხის, მიგარის, წებელდის და ოხატებეს კირქვულ მასივებზე. საფუძველი ჩაუყარა ბუნების ქანდაკებისა და გეოგრაფიული ფერწერის შესახებ მეცნიერებისა და

ხელოვნების ახალ მიმართულებას. შედგენილი აქვს წებელის კირქვული მასივის, ვახუშტი ბაგრატიონის უფსკრულის, აფიანჩისა და შაქურანის მდგირვანის ბლოკ-დიაგრამები, მდგირების გეგმები და ჭრილები, გაცრცელების სქემატური გეგმები.

კუმპარ ჯიშპარიანი



ქართველი
გეოგრაფი,
სპელეო-
ლოგი,
ქურნალის-
ტი. მისი
უშუალო
მონაწილე-
ობით შეს-
წავლილია
400-მდე
მდგირე და

უფსკრული, მათ შორის ახალი ათონის ცნობილი მდგირე, რომლის პირველი თვალზომითი და ინსტრუმენტალური აგეგმვაც მან ჩაატარა. განუზომელია მისი დავაწლი 1984 წელს წყალტუბოს რაიონის ს. უშმისთავში უნიკალური მდგირული სისტემის აღმოჩენის, სამეცნიერო კვლევისა და ტურისტული მიზნებისათვის კეთილმოწყობის საქმეში (გაისხნა 2011 წლის მაისში). წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ამ უნიკალური მდგირის სამეცნიერო – კვლევით და სამშენებლო სამუშაოებს. მის მიერ გამოქვეყნებულმა 500-ზე მეტმა სამეცნიერო-პოპულარულმა

ნაშრომმა დიდი წელილი შეიტანა საქართველოში კასრტული მდგირების კვლევისა და პოპულარიზაციის საქმეში.

კუკური წიქარიშვილი



გეოგრაფი, სპელეოლოგი, გეოგრაფიის დოქტორი, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელი 1973 წლიდან, ამჟამად მთავარი მეცნიერი.

თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტში სწავლის
პერიოდში, მე-2 კურსის
სტუდენტმა (1970) დიდი
დაინტერესება გამოავლინა
კარსტული მდვიმებისადმი. მის
სადიპლომო ნაშრომში ჯერ
კიდევ კეთილმოუწყობელ ახალი
ათონის მდვიმები უშუალოდ მის
მიერ მოპოვებული სამწლიანი
სტაციონარული
მიკროკლიმატური კვლევის
შედეგები იყო წარმოდგენილი.
შემდგომში იგი ახალი ათონის
მდვიმები ჩატარებული 20-მდე

სპე-ლეოკლიმატური ექსპედიციის უშუალო მონაწილე და თემატური გეგმების შემსრულებელია. მის მომავალ საკვალიფიკაციო ნაშრომში შემდგომი განვითარება ჰპოვა გეოგრაფიული მეცნირების ახალმა მიმართულებამ — სპელეოკლიმატოლოგიამ.

მრავალწლიანი კვლევის შედეგებით დადგინდა საქართველოს მთიანი კარსტული მღვიმების კლიმატური რეჟიმის ძირითადი კანონზომიერებანი. დამყარდა კავშირი მიწის ქვეშ მეტეოროლოგენტების მსვლელობასა და გარემომცველი ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიულ ფაქტორებს შორის. ჩამოყალიბდა კონცეფცია მღვიმეთა კლიმატზე ჰიფსომეტრიული ფაქტორის გავლენის შესახებ, მის მიერ შეივსო და დაიხვეწა საქართველოს კარსტული მღვიმების კადასტრი (2009); დამუშავებული აქვს კარსტული მღვიმეების სპელეოტურისტული, სპელეოთერაპიული, სასოფლო-სამეურნეო და რიგი სხვა დარგების საჭიროებისათვის მღვიმეების გამოყენების პრაქტიკული რეკომენდაციები. დაჯილდოებულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელით, სპელეოლოგიის დარგში შეტანილი წვლილისათვის.

საელეოლოგიური ტერმინები

გამოქვაბული კლდეში ხელოვნურად გამოკაფული სათავსები, რომლებიც საცხოვრებლად, თაგმებისაფრად, პირუტყვის სადგომად, საკულტო, სამეურნეო და სხვა სახის დანიშნულებისათვის იყენებდნენ.

თხი 1. ფართოპირიანი პატარა კარსტული მღვიმე ან გამოქვაბული, თაღოვანი ჭერით, 2. მღვიმის გაგანიერება ვიწრო გასასვლელის შემდეგ. სინ.: „გროტი“.

ბარსტული მასივი მორფოლოგიურად და პიდრობელობიურად მეტნაკლებად განცალკევებული ტერიტორია, რომელიც იმეორებს მიმდინარე კირქვული მასივის ბუნებრივ პირობებს ან განსხვავდება მისგან. კირქვული ზოლი იყოფა ცალკეულ მასივებად. საქართველოს კირქვულ ზოლს ტრანზიტული მდინარეები ასამდე განცალკევებულ დიდ (არაბიკა, ბზიფი, ასხი, რაჭა) და მცირე (ოხაჩქევ,

ყვირა, გაუჩა, მინგარია დას ხვ.) მასივებად ყოფს.

პარსტული მღვიმე დედა- მიწის ქერქის ზედა ფენებში წყალში ადგილად ხსნადი ნაპ- რალოვანი ქანების (კირქვა, დოლომიტი, თაბაშირი და სხვ.) გახსნისა და გადარეცხ- ვის შედეგად წარმოშობილი ბუნებრივი სიღრუე. მიწის ქვეშ არსებულ ბუნებრივ სიღ- რუეთა ზოგად ტერმინად მიღე- ბულია „მდვიმე“.

პარსტული უზსპრული კარსტვად ქანებში ჩასახული ჭებისა და შახტების რთული სისტემა, სადაც ვერტიკალურ მონაკვეთებთან ერთად მორი- გეობენ ჰორიზონტული და დახრილფსერიანი დერეფნები. ქვედა ნაწილებში გაედინებიან წყალუხვი მდინარეები. დედა- მიწის უღრმესი კარსტული უფსკრულია კრუბერი (სიღრმე 2197 მ), ბზიფის ქედზე. საქარ- თველო კარსტული უფსკრუ- ლების ნამდვილი სამეფოა. აქ უკვე მიკვლეულია >1000 მ-ზე ღრმა 8 უფსკრული.

პარსტული შახტი ვერტი- კალური სიღრუე ცვალებადი განივევთებით და დარბაზისე-

ბური განივევთებით. წარ- მოიქმნება აერაციის პიდრო- დინამიკურ ზონაში.

პარსტული ჰა ვერტიკა- ლური, ვიწრო, უწესო ფორმის ხვრელი, რომელიც სიღრმეში იხშობა ან მდვიმეს უერთდება. წარმოიშობა მიწისქვეშა სიღ- რუების თაღის ჩაქცევით ან ნაპ- რალის გასწვრივ მოძრავი აგ- რესიული წყლების მოქ- მედებით. შახტისაგან იგი ნაკ- ლები სიღრმით განსხვავდება.

მრაგალსართულიანი მღვიმე თრ ან მეტ დონეზე განლაგებული და ერთმანეთ- თან დაკავშირებული მდვიმეების სისტემა (მაგ., ცუცხვათის 13 სართულიანი მდვიმური სისტემა).

მღვიმე-ესტაველა სიღრუე, რომელიც ხან წყლის მშთან- თქმელად გვევლინება, ხან კი როგორც წყარო, რომელიც წყალს პიდროსტატიკური წნე- ვის ზეგავლენით ამოანთხევს ზედაპირზე.

მღვიმე-საყინულე ბუნებ- რივი ან ხელოვნური სიღრუე, რომელიც მოჟღი წლის მან- ძილზე ინარჩუნებს 0° -იან და უფრო დაბალ ტემპერატურას.

ჭერიდან ჩამოსული წყალი იყინება და სხვადასხვა ფორმის ნაღვენთებს წარმოშობს. საქართველოში ცნობილია ნიკორწმინდის, ბოგას, სხვავას (მღვმური), ხორხების, საბაწმინდის და სხვა ბუნებრივი საყინულები.

მღვიმის ბაზიმულობა სპელეოობიექტის ვერტიკალური, დახრილი და პორიზონტული გასასვლელების ჯამური სიგრძე.

მღვიმობანი პიდროლოგიურად ერთმანეთთან დაკავშირებული კარსტული მღვიმების რთული სისტემა ან ჯგუფი (მაგ., ფლინტ-მამონტი აშშ-ში, სიგრძე 626-644 მ; ახალი ათონი საქართველოში (აფხაზეთი), 3285 მ, წყალტუბოს მღვიმოვანი, >15-550 მ, ცუცხვათის

მრავალსართულიანი სისტემა და სხვ.).

ჩანაძლევი – ჩნდება ტექტონიკური დაძირვის, მიწისძვრის და კარსტული მოვლენების დროს, აგრეთვე დეფორმირებულ მიწისქეშა გამონამუშევრებზე.

სიტყვების შემოკლებანი:

ადგ. – ადგილი
აღმ. – აღმოსავლეთი
აღმ-კენ. – აღმოსავლეთისაკუნდას. – დას.

დას-ით – დასავლეთით
ზ. დ. – ზღვის დონიდან
იხ. – იხილე

კურ. – კურორტი
მარცხ. – მარცხენა
მარჯვ. – მარჯვენა
მდ. – მდინარე
მუნიციპ-ი – მუნიციპალიტეტი
მწვ. – მწვერვალი

ს. – სოფელი
სამხრ. – სამხრეთი
სამხრ-ით – სამხრეთით

სამხრ.-აღმ. – სამხრეთ-აღმოსავლეთი

სამხრ.-აღმ-ით – სამხრეთ-აღმოსავლეთით

სამხრ.-დას. – სამხრეთ-დასავლეთი

სამხრ.-დას-ით – სამხრეთ-დასავლეთით

ჩრდ. – ჩრდილოეთი

ჩრდ-ით – ჩრდილოეთით

ჩრდ.-აღმ. – ჩრდილო-აღმოსავ-
ლეთი

ჩრდ.-აღმ-ით – ჩრდილო-აღმო-
სავლეთით

ჩრდ.-დას. – ჩრდილო-დასავლე-
თი


ჩრდ.-დას-ით – ჩრდილო-დასავ-
ლეთით

♪

პბაშის მდგრადი – მარტვილის
მუნიციპ-ი, ასხის კირქვული მასი-
ვი, მდ. აბაშის აუზი, ს. ბალდის
ჩრდ-ით 2 კმ-ზე, ზ. დ. 550 (25) მ
სიმაღლეზე. გამოკვლეული მონა-
კვეთის სიგრძე 40 მ-ია.

აბლუხებარას მღვიმე – გულრიფ-შის მუნიციპ-ი, მდ. კელასურის აუზი, დინების შუა წელში, მარცხ. შენაკადის მდ. დიდი ძო-კის შეერთების ადგილიდან სამხრ-ით 1 კმ-ზე, ზ. დ. 720 მ სი-მაღლეზე. მდვიმის სიგრძე 35 მ-ს აღწევს.

აბრსპილის (აბლასპირის, ჰლო-ში, აჩხიტიზბოას) მღვიმე – ოჩამჩირის მუნიციპ-ი, ფანავის (კოდორის) ქედის სამხრ. ფერდო-ბი, მდ. ოტაპის აუზი, ს. ოტაპის ჩრდ.-აღმ-ით 1-2 კმ-ზე, ზ. დ. 210 მ სიმაღლეზე. შესასვლელი 4 მ სი-განისა და 2 მ სიმაღლის ხერჯ-ლია, რომელიც სიღრმეში გვირა-ბის ფორმას იღებს და სწორხა-ზოვნად მიემართება აღმ-კენ 2000 მ სიგრძის ზოლში. დერეფნის სი-განე (3-4 მ) მთელს ამ მანძილზე თითქმის თანბარია, სიმაღლე კი იშვიათად აღემატება 10 მ-ს. ბო-ლოში სიფონური ტბაა, რომლის მიდამა გვირაბების შემდგომი სის-ტემები 480 მ მანძილზე გრძელდება. მდვიმის ცალკეულ აღგო-ლებში კირქვიანი შრეების რდევ-ვის შედეგად გაჩენილ დარბაზებს შორის გამოირჩევა „ჭაღებიანი“, „ფარდებიანი“, „ლეგენდების“, „მე-ანდრების“, „გუმბათისებური“, „გი-განტური“ და სხვ. დარბაზები. აბრსკილი ერთ-ერთი უდიდესი (ჯამური სიგრძე 2500 მ) და ულა-მაზესი მდვიმეა კაგასიაში.



აბტოზის მღვიმე – გალისა და წალენჯიხის რაიონების საზღ-ვარზე, ოხაჩქეებს კირქვული მასი-ვის სამხრ. ფერდობი, ენგურჟესის მიდამოებში, ზ. დ. 655 მ სიმაღ-ლეზე. მდვიმე 60 მ სიგრძეზე გაუვალი ნაპრალით იქოლება.

აბუმაბას მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, დურიფ-შის პლატო, XI ბრიგადის ტერიტორიაზე, მდ. გუ-დაუს აუზი. პორიზონტალური, დაბშელი, ვიწრო გასასვლელებიანი გვირაბის სიგრძე 85 მეტრს შეადგენს.

აბცის (ანუხვის) მღვიმე – გუ-დაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. ფსირცხას ხეობის მარჯვ. მხა-რეს, ს. ანუხვა, ადგ. აგცას მიდა-მოებში, ზ. დ. 320 მ სიმაღლეზე. მდვიმის კედლებზე პალეოლითუ-რი, ანტიკური და შუა საუკუნე-ების დროინდელი ნახატები და ძველი ქართული ასომთავრული წარწერებია შემორჩენილი. მდვი-მეს წარსულში საკულტო და რელიგიური მიწნებისათვის იყე-ნებდნენ.

აზლაბარის მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, მდ. სიფსოას აუზი, დურიფ-შის პლატოზე. 120 მ სიგ-რძის სუბპორიზონტალური, გან-

შტოებებს მოკლებული დახშული სიღრუე.


პთონი-75-ის ჰა – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, ახალი ათონის რკინიგზის სადგურის ჩრდ-ით 1 კმ-ზე, ზ. დ. 420 მ სიმაღლეზე. 55 მ სიღრმის ჭა.

პთონის მთის ჰა – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, კურ. ახალი ათონის ჩრდ-ით, ათონის მთის ჩრდ. ფერდობი, ზ. დ. 350 მ სიმაღლეზე. სიღრმე 60 მ-ია.

პთონის I ჰა – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. მაანიკვარას აუზის ზემო წელი, ხეობის მარჯვ. ფერდობზე, ოქტომბრის მდგიმის სამხრ-ით 0,5 კმ-ზე, ზ. დ. 600 მ სიმაღლეზე. სიღრმე 48 მ.

აბგანა – ჭიათურის მუნიციპ-ი, მდ. შუქრუთისწყლის აუზი, ხეობის მარჯვ. შვეულ ფერდობზე, ზ. დ. 710 (90) მ სიმაღლეზე. 2,5 მ სიგრძის, 3,5 მ სიგანისა და 1,6 მ სიმაღლის კლდოვანი ფარდული.

ალბოზის უშსპრული – წალენჯიხის მუნიციპ-ი, ყვირას მასივის უმაღლესი მწვერვალის დას-ით, მდ. მოროვის აუზი, „ქვაქან-ცალიასთან“ ახლოს, ზ. დ. 1900 მ სიმაღლეზე. ვერტიკალური და დახრილფსერიანი მონაკვეთების მორიგეობით უფსკრული ჩასას-კლელიდან 45 მ სიღრმეზე ებმის მოზრდილ დარბაზს და იქვე მთავრდება.



ალეშანდროვკის მღვიმე – ის. კელასურის მდგიმე.


„ალბოზის“ მღვიმე – ცაგერის მუნიციპ-ი, ხვამლის მასივი, ბილიკიდან 15 მეტრზე, ზ. დ. 1670 მ სიმაღლეზე. ორი გრანდიოზული ქაბრი (25x5 მ; 20x7 მ) 15 მეტრის სიღრმეზე ერთმანეთს უერთდებიან. გვირაბი სამხრ.-დას-ით მიემართება. სამხრ. ჩასასვლელის ფსკერი დაფარულია სქელი ფენის ფირნით. აქ თოვლი თანდათან 10 მ სიგანის დამრეც მყინვარში გადადის. ყინულის სისქე 1 მ-ია. სიღრმე 28 მ, სიგრძე 110 მ-ს აღწევს.

ამტყელის მღვიმე – გულრიფშის მუნიციპ-ი, მდ. აზანთის აუზი, ამტყელის ტბის დას. ნაპირზე, ზ. დ. 580 მ სიმაღლეზე. შესასვლელი იხსნება ფლატეზე. შედგება 21 მ სიგრძის, 13 მ სიგანისა და 10 მ სიმაღლის დიდი დარბაზისაგან.

ამტყელის ჰა – გულრიფშის მუნიციპ-ი, მდ. აზანთის აუზი, ს. ამტყელის ხრდ. ნაწილი, ამტყელის ტბის სამხრ.-დას-ით 1 კმ-

ზე, ზ. დ. 415 მ სიმაღლეზე. ჭის სიღრმე 28 მ-ს აღწევს.

პროცესი I მდგრადი – გუდაუთის მუნიციპატია, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. ფსირცხას აუზი, ხეობის მარჯვ. მხარეს, ს. ანუხევას მიდამოებში, ზ. დ. 420 მ სიმაღლეზე. სიგრძე 38 მ.



პროცესი II მდგრადი – გუდაუთის მუნიციპატია, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. ფსირცხას აუზი, ხეობის მარჯვ. მხარეს, ს. ანუხევას მიდამოებში, ზ. დ. 420 მ სიმაღლეზე. სიგრძე 15 მ.

პროცესი III (აბათას) მდგრადი – გუდაუთის მუნიციპატია, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. ფსირცხას აუზი, ს. ზედა ანუხევას მიდამოებში, ახალი ათონიდან მე-12 კმ-ზე, ზ. დ. 445 მ სიმაღლეზე. ჯამური სიღრმე 50 მ, სიგრძე 520 მ-ს აღწევს.

პროცესი IV მდგრადი – გუდაუთის მუნიციპატია, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. ფსირცხას აუზი, ხეობის მარჯვ. მხარეს, ს. ანუხევას მიდამოებში, ზ. დ. 450 მ სიმაღლეზე. აღმავალფსერიანი დახშული სიღრუე 205 მ-მდე გრძელდება.


პროცეს V მდგრადი – გუდაუთის მუნიციპატია, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. ფსირცხას აუზი, ხეობის მარჯვ. მხარეს, ს. ანუხევას მიდამოებში, ზ. დ. 450 მ სიმაღლეზე. აღმავალფსერიანი, მკეთრად მეანდრირებული დახშული სიღრუე 110 მ-მდე გრძელდება.

პროცეს VI მდგრადი – გუდაუთის მუნიციპატია, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. ფსირცხას მშრალი ხეობის მარჯვ. მხარეს, ს. ანუხევას მიდამოებში, ზ. დ. 460 მ სიმაღლეზე.

პროცეს VII მდგრადი – გუდაუთის მუნიციპატია, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. ფსირცხას მშრალი ხეობის მარჯვ. მხარეს, ს. ანუხევას მიდამოებში, ზ. დ. 480 მ სიმაღლეზე. 90 მ სიგრძის ჰორიზონტალური დახშული სიღრუე.

პროცეს VIII მდგრადი – გუდაუთის მუნიციპატია, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. ფსირცხას მშრალი ხეობის მარჯვ. მხარეს, ს. ანუხევას მიდამოებში. დაბალი შესასვლელით (0,8 მ) სწორხაზოვნად მიემართება 14 მ მანძილზე.

პროცეს I ჭა – გუდაუთის მუნიციპატია, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. ფსირცხის მშრალი ხეობის მარჯვ. მხარეს, ს. ანუხევას მიდამოებში. ჭა იწყება წრიული ფორმის ჩასასვლელით (დიამეტრი 1,5 მ), რომელიც იქვე ფართოვდება და უსწორმასწორო კედლებით 22 მეტრის სიღრმემდე ვრცელდება.



ანუხვის II ჭა – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის სამხრ. ფერდობი, მდ. შავწყალას აუზი, ს. ბლაბურხვის ტერიტორიაზე, ზ. დ. 290 მ სიმაღლეზე. სიღრმე 30 მ. **პრაბიგის (გუდაუთის) უფ-ძრულთა სისტემა** – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივი, ბერჭილის ქედი, ორთაბალაგანის ტროგული ხეობის სამხრ.-აღმ. ნაწილში, გელგელუების დასახლების ჩრდილ. 1,5-2 კმ-ზე, ზ. დ. 2055-2188 მ სიმაღლე-ზე. უფსკრული 1110 მ სიღრმეზე გაუვალი ნაპრალით იხშობა. მდვიმეს მრავალრიცხოვანი განშტოებები გააჩნია. ერთ-ერთი მათგანია „ჰენრის უძირო“ (სიღრმე 895 მ) და შესაძლოა ბერჭილის (260 მ) უფსკრულიც. „ჰენრის უძიროს“ ჩასასვლელი ორთაბალაგანის ტროგული ხეობის შეა ნაწილში, ვიწრო (0,4-0,5 მ), მკვეთრად დახრილი ნაპრალით იწყება და 10 მ-ის შემდეგ 120 მ სიღრმის ნაპრალოვან შახტში გადადის. უფსკრული დახრილი დერეფნებისა და ჭათა სისტემების მონაცემლებით 895 მ სიღრმემდე

ვრცელდება. „ჰენრის“ არაბიკის უფსკრულს 965 მეტრიან ნიშნულზე შეუერთდა.


პრაბიგის შახტი – გუდაუთის მუნიციპ-ი, ხიფსთის კირქვული მასივი, მწვ. ხიფსთას აღმ-ით. 0,7 კმ-ზე, ზ. დ. 1900 მ სიმაღლეზე. შახტი 155 მ სიღრმეზე გაუვალი ნაპრალით იქოლება.



არს. ოქროჯანაშვილის მდვიმის შესასვლელი

პრაბიგის ტობა III მდგომარეობა – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული პლატოს სამხრ. ნაწილი, მდ. ტობას აუზი, ს. ბალდის ჩრდ.-აღმ-ით 5 კმ-ზე, ზ. დ. 790 (234) მ სიმაღლეზე. მდვიმის შესასვლელი (15x20 მ) ქარაფის გასწვრივ იხსება. სამიარუსიანი, მრავალგანშტოებიანი მდვიმე. მდვიმეში რამდენიმე დარბაზია. მათ შორის გამოიჩინება: „ნონას დარბაზი“, „სალონი“, „ნანას დარბაზი“, „უნივერსიტეტი-50“, „ტბიანი“ და სხვა დარბაზები. მდვიმის ჯამური სიგრძე 1300 მ-ს აღწევს.

არსებ რეზონანსულის
(ტობას II) მდგრად




პრცხოვს შახტი – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის სამხრ. ფერდობი, მდ. შავწყალას აუზი, ს. ბლაბურხვის ჩრდილ 1,5 კმ-ზე, ზ. დ. 525 მ სიმაღლეზე. შახტის სიღრმე 60 მ-ს აღწევს.

არშაბახოს ჰა – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის სამხრ. ფერდობი, მდ. შავწყალას აუზი, ს. ბლაბურხვის ტერიტორიაზე, ზ. დ. 590 მ სიმაღლეზე. 15 მ სიღრმის ჭა.

ასაძხილის უზსპრული – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის თხემური მოვაკების სამხრ.-დას. ნაწილი, ასაძხილის ულელტესილთან, ზ. დ. 2200 მ სიმაღლეზე. ჯამური სიღრმე 85 მ-ია.

ავიანის ჰა – გულრიფშის მუნიციპ-ი, ავიანისა-ჩიუეშის ქედის ჩრდ. ფერდობი, ავიანის მთის დას-ოთ, ს. წებელდის ტერიტორიაზე, ზ. დ. 800 მ სიმაღლეზე. ჭის ჩასასვლელი აფეთქებით იქნა გაფართოებული. პირველი ვერტიკალური მონაკვეთი 30 მ-ს აღწევს. 15 მ სიღრმეზე ვიწრო ნაპრალს აჩენს, უფრო ქვემოთ კი სწრაფად ფართოვდება და ვრცელ დარბაზს ქმნის. ჭის ჯამური სიღრმე 70 მ-ს აღწევს.

აფიანჩის ჭის ბლოკ-დიაგრამა



აზხაზ საელეოლოგთა – იხ. აქციის შახტი.

აშვაჩის (ზმ. ანუცრის) მდგვარი – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. მაანიკვარას აუზის ზემო ნაწილი, ხეობის მარჯვ. ფერდობზე, ს. აქვაჩის სამხრ-ით 0,5 კმ-ზე, ზ. დ. 360 მ სიმაღლეზე. დახრილ-ფსკერიანი ტომრისებური ფორმის სიღრუე 30 მ სიგრძემდე გრძელდება.

აშის (აზხაზ საელეოლოგთა) შახტი – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, კურ. ახალი ათონის მიდამოები, ახალი ათონის მდვიმის მახლობლად, ზ. დ. 160 მ სიმაღლეზე. ვერტიკალური მონაკვეთი ზედაპირიდან მე-60 მეტრზე სწრაფად ებმის გუმბათისებური ფორმის 270 მ სიგრძის გიგანტურ დარბაზს. ჯამური სიღრმე 85 მ-ია.

აღმაგალი (ახალი ათონის „მეტელი“ სტალაზტიტზრი, ზეორცხის) მდგვარი – გუდაუთის მუ-


ნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვ-
ველი მასივი, ივერიის მთის
ჩრდ.-აღმ. ფერდობზე, მდ. ფსირ-
ცხას აუზი, ფსირცხის ვოკლუ-
ზების თავზე, ზ. დ. 40 (25) მ სი-
მაღლეზე. მდგრძე იწყება 6 მ
სიგანისა და 4 მ სიმაღლის
შესასვლელით, რომელიც სწრა-
ვად გადადის დახრილფსკერიან
გვირაბზე. ძირითად მაგისტრალს
გამოყოფა დახრილფსკერიანი
განშტროებები. შუა ნაწილში ორი
დიდი დარბაზია (30x20 მ).
მდგრძე ბოლოში სიფროური ტბით
იხშობა, რომელიც დაკავშირებუ-
ლია ახალი ათონის კეთილმოწყობილ
მდგრძეში მდებარე ტბებით.
წყლის დონეების მატების
შემთხვევაში წყალი ავსებს
გვირაბს და შესასვლელიდან
გადმოდის მოზრდილი ნაპატი.
მდგრძის ჯამური სიგრძე 165 მ-ს
შეადგენს.



აჩხიმის მდგრადი – იხ. აბ-
რეკოლის მდგრადი.

აპაბის გვირაბი – სოხუმის მუნიციპატეტი, გუმისა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. დას. გუმისთის აუზი, ზემო ეშერის ტერიტორიაზე, აპაბის მდგომის სამხრეთ 20 მეტრში, ზ. დ. 250 მ სიმაღლეზე. 45 მ სიგრძის გვირაბი.

ԱՃԱՑՈՒՅ (ՅԵՄԱԿՈՒՅ) ԹՀՅՅԱՅ - ՏՐԵՅ-
ՄՈՆ ԹՅՆՈՅՉՈՅ-Ծ, ՑՅՄՈՒՄԵԱ-ՑՍԻՌ-
ՑՔԻՍ ԿՈՐՎՅԱՆՈ մԱՏՈՅՈ, ԹԾ. ԾԱ. Ց
ՑՅՄՈՏՈՒՅ այնո, ԵՅՄՈ ԵՄԵՐՈՒ
ԸԵՐՈՒՑՐՈՒՅՆ թ. Ծ. 245 մ ՏՈԽԱ-
ԼԵՅՆԵ. ԹԾՅՈՒՄ ՏՈԽՐՄԵՅՄ ո տանգա-
տան ՅՈՒՐՈՎԳԵՅԱ ԾԱ ՑՎՈՐԱՑՈՒՅ
ՑՈՐՄԱԾ օԴԵՅՅԵ. ՏՈՐՈՒԱԾՈ մԱՑՈՒ-
ԸՐԱԾՈ ՕՎՈՒԱՐԵՅԵԾ ցԱՆՑԾՈՎԵՅԵԾ
ՅՈՒՐՈ ԽԱՏՐԱԾՅԵՅԻՍ ՏԱԿՈՒ. ԹԾՅՈ-
ՄԵ ծՐԱՎՄԵՄ (354 թ-Ե) ՏՈԽՐՆՈՒՄ
ՄՄԵՑՐՈՎԳԵՅԱ.




აპაბის ფარდული – სოხუმის
მუნიციპი, გუმიშხა-ფსირცხის
კირქვული მასივი, მდ. დას. გუ-
მისთის აუზი, ზემო ეშერის
ტერიტორიაზე, აპაბის მღვიმის
სამხრ-ით 0,15-0,2 კმ-ზე, ზ. დ. 280
მ სიმაღლეზე. 45 მ სიგრძის ფარ-
დული.

პალი ათონის მღვიმე — გუდა-
უთის მუნიციპი-ი, გუმიშხა-ფსირ-
ცხის კირქვული მასივი, კურ-
ახალი ათონის ტერიტორიაზე, მ.
ივერიის ჩრდილო, მდ. მაანიკვარა-
სა და ფსირცხას წყალგამყოფზე,
მდ. ფსირცხას აუზი. ზ. დ. 220
(60) მ სიმაღლეზე ღრმა შახტე-
ბისა და ვრცელი დარბაზების
სისტემა. შედგება ორი მორფო-
ლოგიურად ქვემოთად განსხვავე-
ბული (ვერტიკალური და პორი-
ზონგული) ნაწილებისაგან.

პირველი მათგანი სპირალური ფორმის ვერტიკალური საფეხურებისა და ძლიერ დახრილი ვიწრო ნაპრალების მორიგეობით 165 მეტრამდე ვრცელდება, სადაც უფსკრული ვიწრო ხერების (“არსენას ჭიშპარი”) საშუალებით მდგომის პორიზონტალურ სისტემას უგავშირდება, რომელშიც გამოიყოფა მაღალჭერიანი გიგანტური დარბაზები: აფხაზეთი, ქართველ სპელეოლოგთა, თიხის, ტაძარი, ივერია, თბილისი, ჰელიქტიტების სალონი, სიურპრიზი და სხვა დარბაზები, რომელთა სიგანე 20-70 მ ფარგლებში მერყეობს. მდგომის ცალკეული დურეფებისა და დარბაზების ჭერის სიმაღლე 15 მ-დან 70 მეტრს აღწევს. “ქართველ სპელეოლოგთა დარბაზი” (სიგრძე 260 მ, სიგანე 65-70 მ, სიმაღლე 30-35 მ) უდიდესია არამარტო კავკასიის, არამედ ევროპის დღემდე გამოკვლეული მდგომების დარბაზებს შორისაც. მდგომის ვერტიკალური ნაწილის სიღრმე 183 მ, პორიზონტული მონაკვეთის ძირითადი მაგისტრალის სიგრძე 1125 მეტრია. ერთ-ერთ უპოპულარესი სპელეოტურისტული ძეგლი ევროპაში, რომელიც ქართველი სპელეოლოგების (ზურაბ ტატაშიძე, არსენ ოქროჯანაშვილი, ბორის გერგედავა, გივი ხმირი) მიერ იქნა აღმოჩენილი 1961 წელს. ექსპლუატაციაშია 1975 წლიდან. მდგომის აღმოჩენასა და შესწავლაში შეტანილი დიდი წვლილი-სათვის ქართველი მკვლევარები - ზურაბ ტატაშიძე, შალვა ყიფიანი, არსენ ოქროჯანაშვილი 1977

წლის სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდნენ.




ახალი ათონის მდგომის წყალ-ბამშვები გვირაბის მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, გუმიშხაფისირცხის კირქვული მასივი, ივერიის მთის ჩრდ.-დას. ფერდობი, მდ. ფსირცხის აუზი, ახალი ათონის წყალგამშვები გვირაბის თავზე, ზ. დ. 50 (10) მ სიმაღლეზე. მდგომე გამოჩნდა ახალი ათონის მდგომები წყალგამშვები გვირაბის მშენებლობის დროს. მდგომე აღმაგალია, სიგრძით 285 მ-ს აღწევს.

ახალი ათონის მცირე – იხ. მაანიკვარას შახტი.

ახალი ათონის „მველი“, სტალაგმიტური მღვიმე – იხ. აღმავლი მდგომე.

ახალი უჯსპრული – ოჩამჩირის მუნიციპ-ი, ფანაგის ქედის სამხრ. ფერდობი, ს. ოტაპის ჩრდ-ით 0,15 კმ-ზე, ზ. დ. 2000 მ სიმაღლეზე. უფსკრული მცირე სიღრმის ჭარა სისტემების მონაცელებით 120 მ სიღრმემდე ვრცელდება.

ახალშენის (ანდრევეგის) მღვიმე
 – სოხუმის მუნიციპ-ი, გუმიშხა-
 ფსირცხის კირქვული მასივი, ძე.
 დას. გუმისთის აუზი, ს. ახალშე-
 ნის დას-ით 0,7 კმ-ზე, ზ. დ. 285
 (100) მ სიმაღლეზე. მდგომის წინა
 ნაწილი წარმოადგენს ოაღისებურ
 გვირაბს, რომელიც სწორხაზოვ-
 ნად მიემართება აღმ-კენ. მდგომე
 ბოლოში, 220 მ-ზე ნაზვავით იხ-
 შობა.



ახდუს უზსპრული – გუდაუთის
 მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის სამხრ.
 ფერდობი, მდ. შავწყალას აუზი,
 ზ. დ. 890 მ სიმაღლეზე. სიღრუე
 ზედაპირიდან 35-40 მ სიღრმეზე
 ივითარებს დახრილფსკერიან
 დარბაზს, რომელიც სწრაფად გა-
 დადის 80 მ სიღრმის ვერტიკა-
 ლურ შახტში.

ახტიარის უზსპრული – გაგრის
 მუნიციპ-ი, არაბიკის მასივი,
 უნიულოვანი მდგომის აღმ-ით 1,5
 კმ-ზე, ზ. დ. 2520 მ სიმაღლეზე.
 უფსერული 35, 15, 45 და 40 მ-იანი
 ჭებისა და შახტების მორიგეობით
 200 მ სიღრმემდე ვრცელდება.
 ჯამური სიღრმე 410 მ, გაჭი-
 მულობა 800 მ-ს აღწევს.

აჯამსუს მღვიმე – გუმიშხა-ფსირცხის კირქ-
 ვული მასივი, ს. ვესიოლოვკის

ტერიტორიაზე, კურ. ახალი ათო-
 ნის ჩრდ-ით 5-6 კმ-ზე, ზ.
 დ. 520 მ სიმაღლეზე. მდგომე
 შესასვლელიდან 35-ე მეტრზე
 ნაზვავით იხშობა.

აჯამხიდრის მღვიმე – გუდაუთის
 მუნიციპ-ი, დურიფშის პლატო, ს.
 ლიხნის ტერიტორიაზე, მდ. ხიფ-
 სთის აუზი, ხეობის მარცხ. ფერ-
 დობზე, ზ. დ. 40 (12) მ სიმაღ-
 ლეზე. შესასვლელიდან 120-ე მ-
 ზე ძირითად დერეფანს უკავშირ-
 დება 40 მ სიგრძის განშტოება,
 რომლის მიღმა ძირითადი გვირა-
 ბი დას-კენ მიემართება და 270 მ-
 ზე ნაზვავით იხშობა.

АБЭ-18 – Абхазская экспедиция
 (секция спелеологии МГУ) სოხუმის
 მუნიციპ-ი, ს. ზემო შებარას ტე-
 риტორიაზე, მდ. შებარას ხეობის
 მარცხ. ფერდობზე, მდ. დას. გუ-
 მისთასთან შეერთების ადგილი-
 დან 5 კმ-ზე, ზ. დ. 1280 მ სიმაღ-
 ლეზე. ვერტიკალურ მონაკვეთს
 (სიღრმე 12 მ) სწრაფად ებმის
 დახრილი გალერეა, რომელიც
 მე-10 მეტრზე ნაზვავი ლოდნარით
 იქოდება.

АБЭ-21-71 – Абхазская экспедиция
 (секция спелеологии МГУ) სოხუმის
 მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის
 კირქვული მასივი, მდ. შებარას
 (ხოჯგეთი) მარცხ. შენაკადის
 შეა წელში, უსახელო მწვერვა-
 ლის (1106,3 მ) სამხრ-ით 0,5 კმ-
 ზე, ზ. დ. 1280 მ სიმაღლეზე. სა-
 წყისი მონაკვეთი 10 მ სიღრმის
 ჭას წარმოადგენს, რომელსაც
 სწრაფად ებმის დახრილფსკე-
 რიანი მოზრდილი დარბაზი
 (25x10x10 მ). ჯამური სიგრძე 70
 მ-ს შეადგენს.

АБЭ-11-71 – Абхазская экспедиция (секция спелеологии МГУ) სოხუმის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. ჭუბარას (ხოიჯეთი) მარცხ. შენაგადის ჟუ წელში, АБЭ-21-71-ის შახტის სამხრ-ით 0,2 კმ-ზე, ზ. დ. 480 მ სიმაღლეზე. შახტის საწყის 25 მ-იანი მონაკვეთი 20 მეტრის შემდეგ თაღოვანი მომცრო დარბაზით იჩქობა.

АБЭ-22 – Абхазская экспедиция (секция спелеологии МГУ) სოხუმის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. დას. გუმისთის აუზი, ს. ახალშენისაკენ მიმავალი გზის მარჯვ. მხარეს, ახალშენის მდგომიდან 0,3 კმ-ზე, ზ. დ. 310 (30) მ სიმაღლეზე. 22 მ სიღრმის შახტი.

АБЭ-23 – Абхазская экспедиция (секция спелеологии МГУ) სოხუმის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. დას. გუმისთის აუზი, მწვ. აუმბეგას ქედის სამხრ. ფერდობზე, წყალშემკრები აუზიდან დას-ით 7 კმ-ზე, მწვ. აბანაგდარას სამხრ.-აღმ-ით 0,6 კმ-ზე, ზ. დ. 420 მ სიმაღლეზე. 23 მ სიღრმის შახტი.

АБЭ-29 – Абхазская экспедиция (секция спелеологии МГУ) სოხუმის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. დას. გუმისთის აუზი, ზემო ეშერის მდგომიდან 0,2-0,25 კმ-ზე, ზ. დ. 520 მ სიმაღლეზე. შახტი წარმოშვა 1926 წლის სექტემბრში მოსული ძლიერი თავსხმა წვიმების პერიოდში ნიადაგის ჩაჭვის შედეგად. სიგრძე 30 მ-ია.

АБЭ-19 – Абхазская экспедиция (секция спелеологии МГУ) სოხუმის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. დას. გუმისთის აუზი, ზემო ეშერის ცნობილი მდგომე-რესტორნიდან 0,3 კმ-ზე, მშრალი ხეობის მარჯვ. ფერდობზე, ზ. დ. 300 მ სიმაღლეზე. სიღრმე 19 მ-ს შეადგენს.

АБЭ-28 – Абхазская экспедиция (секция спелеологии МГУ) სოხუმის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. დას. გუმისთის აუზი, ზემო ეშერის ტერიტორიაზე, საავტომობილო გზიდან 0,1 კმ-ზე, ზ. დ. 295 მ სიმაღლეზე. სიღრმე 28 მ-ს აღწევს.

АБЭ-25 – Абхазская экспедиция (секция спелеологии МГУ) სოხუმის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. დას. გუმისთის აუზი, ეშერის წყალსაქანიდან დას-ით 0,4 კმ-ზე, საავტომობილო გზის მარცხ. მხარეს, АБЭ-23 შახტის აღმ-ით 0,5 კმ-ზე, ზ. დ. 470 მ სიმაღლეზე. სიღრმე 25 მ-ს აღწევს.

АБЭ-17 – Абхазская экспедиция (секция спелеологии МГУ) სოხუმის მუნიციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირქვული მასივი, მდ. დას. გუმისთის აუზი, მდ. დას. გუმისთასა და მდ. შუბარას შორის მოქცეული მთის მწვერვალზე, ზ. დ. 400 მ სიმაღლეზე. სიღრმე 17 მ-ს შეადგენს.

ბ

ბაზიანის შახტი – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის კირქვული მასივის სამხრ. ფერდობის დას. ნაწილი, ს. ბაგიას მწყებების სადგომიდან ჩრდ-ით 1,5 კმ-ზე, ზ. დ. 1750 მ სიმაღლეზე. შახტი დრმა ჭებისა და ლაბირინთული გასასვლელების მონაცელეობით 270 მ სიღრმემდე ვრცელდება, გაჭიმულობა 370 მ-ს აღწევს.

ბანანის შახტი – გაგრის მუნიციპ-ი, აჩიბახის (რიხვას) კირქვული მასივი. ჯამური სიღრმე 75 მ.

ბარათაშვილების შახტი – ჭიათურის მუნიციპ-ი, ს. ქვედა ზოდის მიდამოებში, მდ. ჯრუჭულას მარჯვ. ფერდობზე, ჩატევითი ძაბრის ფსკერზე, ზ. დ. 370 მ სიმაღლეზე. 70 მ სიღრმის შახტი ამჟამად ხელოვნურად არის ამოსებული ალუვიური მასალით.


ბარდულის ჰა – მარტვილის მუნიციპ-ი, ასხის კირქვული მასივი, მდ. აფხაზურას აუზი, აღგ. რაჩხა, ს. ლევავეს ტერიტორიაზე, ზ. დ. 480 (100) მ სიმაღლეზე. 30 მ სიღრმის სიღრუე.

ბარცილის შახტი – გაგრის მუნიციპ-ი, აჩიბახის (რიხვას) კირქვული მასივი. ჯამური სიღრმე 100 მ, გაჭიმულობა 400 მ-ს აღწევს.

ბაღნარის მღვიმე – გაგრის მუნიციპ-ი, არაბიკის კირქვული მასივის სამხრ. ნაწილი, მდ. სანდრიფშის (უეოფსეს) აუზი, მდინარის მარცხ. ფერდობზე, ს. ბაღნარის სამხრ.-აღმ-ით 2,5 კმ-ზე, ზ.

დ. 750 (60-70) მ სიმაღლეზე. შედგება მომცრო, წრიული ფორმის დარბაზებისა და ვიწრო გასასვლელებისაგან. მღვიმე ბოლოში ქიმიური ნალექებით მდიდარი, საქმაოდ მოზრდილი დარბაზით (5X25X15 მ) მოავრდება.

ბაღნარის მღვიმე



გასწურვილი ჭრილი

ბაჩას ზედა მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, მდ. შავწყალას აუზი, ს. ბაჩას ტერიტორიაზე, ზ. დ. 125 მ სიმაღლეზე. მღვიმე პატარა ტბებისა და მომცრო დარბაზების მონაცელეობით 65 მ-დე გრძელდება.

ბაჩას ქვედა მღვიმე – გუდაუთის მუნიციპ-ი, მდ. შავწყალას აუზი, ს. ბაჩიდან აღმ-ით 2 კმ-ზე, ზ. დ. 120 მ სიმაღლეზე. ძაბრისებური ქვაბულის ფსკერზე გახსნილი ვიწრო მიწისქვეშა ხეობა 45 მ-დე გრძელდება.

ბელვედერის შახტი – გაგრის მუნიციპ-ი, მწვ. არაბიკის ჩრდ-ით 1,5 კმ-ზე, ზ. დ. 2400 მ სიმაღლეზე. პირველი მონაცეთი 25 მ სიღრმემდე ვრცელდება. აქედან ვიწრო (1,5X1,5) ჭების მონაცელებით შახტი 56 მ ეშვება და გაუვალი ნაპრალით იხშობა.

ბელორუსის შახტი – გუდაუთის მუნიციპ-ი, ბზიფის ქედის სამხრ. ფერდობი, ზ. დ. 375 მ სი-

მაღლებები. ჩასასვლელი 7 მ დია-
მეტრის ჩანაქცევს წარმოადგენს,
რომელიც 80 მ სიღრმის შახტში
გადადის; იგი მოკლე და დახრი-
ლი საფეხურების მონაცვლეობით
10 და 50 მ სიღრმის კასკადების
სისტემას აწყდება. შახტი ბო-
ლოში (210 მ-ზე) ნაზვავითა და
ვიწრო, გაუვალი ნაპრალით იხ-
შობა.

**ბეჭისტბის (ცუცხვათის XII მდგრადი – ს. ცუცხვათის ტერიტო-
რიაზე, მდ. ჭიშურას აუზი (ყვირი-
ლას სისტემა), ზ. დ. 335 (75) მ სი-
მაღლებები, სუბპორიზონტალური,
აღმავალი, ორსართულიანი (სავა-
რაუდოდ ცუცხვათის XII–XIII).
სართულები ჩადგმულია ერთიმერ-
ებები. სიგრძე 25 მ.**

ბერზოლის უზსპრული – გაგრის
მუნიციპ-ი, არაბიის კირქვული
მასივი, ბერჭილის ქედის ჩრდ. ცი-
ცაბო ფერობზე, ორთაბალაგანის
ტროგული ხეობის ზედა ნაწილ-
ში, ზ. დ. 2440 მ სიმაღლეზე. 1989
წელს კაშინოველმა სპელეოლო-
გებმა მასში 420 მ სიღრმემდე ჩა-
აღწევს.

ბესლეთის (გასლების) მდგრადი –
სოხუმის მუნიციპ-ი, მდ. ბესლე-
თის აუზი, ს. ურავის სამხრ-იო,
ზ. დ. 80 მ სიმაღლეზე. მდგომე 15
მ-ის შემდეგ სიფონით მთავრდება.
ბესლეთის ჰა – სოხუმის მუნი-
ციპ-ი, მდ. ბესლეთის აუზი, ს. ურავის
სამხრ-იო, ზ. დ. 160 მ სი-
მაღლეზე. ჭის სიღრმე 35 მ-ია.

ბერელის მდგრადი – ცაგერის მუ-
ნიციპ-ი, ასხის კირქვული მასივი,
აღგ. „დიდველის“ ტერიტორიაზე,
შეეულ ფლატეზე, მდ. კვერჭ-
შულას (მდ. ცხენისწყლის შენაკა-

დი) სათავეში, მდინარის დონი-
დან 50 მ სიმაღლეზე. მდგომის
სავარაუდო სიგრძე 70 მ-ია.

ბზანალის მდგრადი – წყალტუ-
ბოს რაიონი, ს. ყუმისთავის ჩრდი-
ოთ, აღგ. მელოურის მიდამოებში,
მდ. ბზანალის ზედაპირზე გამოს-
ვლის ადგილას, მეტხერი ტყის
შეაგულში, ზ. დ. 520 მ სიმაღლე-
ზე. სიღრმე 32 მ, სიგრძე 360 მ-ს
შეადგენს.

ბზის მდგრად-უზსპრული – ოჩამ-
ჩირის მუნიციპ-ი, ფანავის (კოდო-
რის) ქედის სამხრ. ფერდობი, მდ.
ოტაპის აუზი, მდ. ცლახმურის
მარჯვ. მშრალი შენაკადის
მარცხ. ნაპირზე, ზ. დ. 580 მ სიმაღლეზე. სიღრმე 50 მ-ს აღ-
წევს, ჯამური სიგრძე 100 მ-ია.

ბზის II ჰა – გუდაუთის მუნი-
ციპ-ი, გუმიშხა-ფსირცხის კირ-
ქვული მასივი, ზაშირბარას ქე-
დის სამხრ. ფერდობი, კოლკი-
ნის შახტის სამხრ. 50 მეტრში,
ზ. დ. 950 მ სიმაღლეზე. ჭის სიღ-
რმე 21 მ-ს აღწევს.

ბზიზის I მდგრადი – გუდაუთის
მუნიციპ-ი, მდ. ბზიფის მარცხ.
მხარეზე ბზიფის II და III მდგო-
მების მოპირდაპირე მხარეს,
ზ. დ. 600 მ სიმაღლეზე. სიგრძე
26 მ.

ბზიზის II მდგრადი – გაგრის მუ-
ნიციპ-ი, მდ. ბზიფის მარჯვ. მხა-
რეს, ს. ბზიფის ჩრდი-ოთ 1 კმ-ზე,
ზ. დ. 600 მ სიმაღლეზე. 25 მ სიგრძის
სუბპორიზონტალური
სიღრუე.

ბზიზის III მდგრადი – გაგრის მუ-
ნიციპ-ი, მდ. ბზიფის მარჯვ. მხა-
რეს, ს. ბზიფის ჩრდი-ოთ 1 კმ-ზე,

ბზიფის II მდგომის მახლობლად. 15 მ სიგრძის მოკლე გვირაბი.

ბიზონის (ცუცქათის III) მდგომარეობა – ს. ცუცქათის ტერიტორიაზე, მდ. შაბათაღელე (მდ. ყვირილას სისტემა), ზ. დ. 290 (13) მ სიმაღლეზე. ცუცქათის მრავალსართულიანი მდგომოვანის IV სართული. სიგრძე 18 მ.



ბიზონის მდგომის შესასვლელი

ბირჯის მდგომარეობა – გულრიფშის მუნიციპატი, მდ. კელასურის მარჯვ. ფერდობზე, ს. ბირჯის ტერიტორიაზე, კელასურის მდგომებელიდან 2,5-3 კმ-ზე, ზ. დ. 270 მ სიმაღლეზე. სიგრძე 30 მ.

ბენდაკლდის მდგომარეობა – ჭიათურის მუნიციპატი, ს. რგანის დას-ით 1,5 კმ-ზე, მდ. კაცხურას სათავეებთან, მის მარჯვ. ფერდობზე, ზ. დ. 660 (35) მ სიმაღლეზე. ვიწრო და გაფართოებული მონაკვეთების მონაცელებით მდგომე 125 მ-დე გრძელდება.

ბობირისკლდის I მდგომარეობა – ჭიათურის მუნიციპატი, ს. წირქვალის მიდამოებში, მდ. ბოგირისწყლის (წირქვალისწყლის) მარცხ. ფერდობზე, ზ. დ. 580 (14) მ სიმაღლეზე. 20 მეტრი სიგრძის პორიზონ-ტალური კლდოვანი ფარდული.

ბობირისკლდის II მდგომარეობა – ჭიათურის მუნიციპატი, ს. თაბაგრების მიდამოებში, მდ. ბოგირისწყლის (წირქვალისწყლის) მარჯვ. ფერდობზე, ზ. დ. 570 (5) მ სიმაღლეზე.

ბობის მდგომარეობა – ცაგერის მუნიციპატი, ხვამლის მასივი, წყაროდან 0,5 კმ-ზე, ზ. დ. 1710 მ სიმაღლეზე. ჩასასვლელი ასიმეტრიული ძაბრის ფსკერზე იხსნება, რომელიც თოვლის მასით არის ამოვსებული. მდგომეში უხვადაა წარმოდგენილი ყინულის სტალაქტიტები, სტალაგმიტები სკეტები, სუბლიმაციური კრისტალები. სიღრმე 28 მ, ჯამური სიგრძე 80 მ-ს შეადგენს.




ბობშმინის შახტი – გუდაუთის მუნიციპატი, ბზიფის კირქვული მასივი, პანტიუხინის უფსკრულის სამხრ.-აღმ-ით 1,0 კმ-ზე, ზ. დ. 2025 მ სიმაღლეზე. ჯამური სიღრმე 460 მ, გაჭიმულობა 190 მ.

ბოჩოკლდის მდგომარეობა – ჭიათურის მუნიციპატი, ს. ხალიფაური, მდ. ბოგირისწყლის აუზი, მდ. თაბაგრებისა და წირქვალისწყლის შესართავთან, ზ. დ. 640 (50) მ

სიმაღლეზე. აღმავალი გვირაბი მოკლე განშტოებებით 280 მ მანძილზე ვრცელდება.

ბჟანის ჭახტი – გაგრის მუნიციპატი, აჩიბახის (რიხვას) კირქვული მასივი, ზ. დ. 2000 მ სიმაღლეზე. სიღრმე 100 მ-ს შეადგენს.



ბრეგვაძეების პლატის მღვიმე – ჭიათურის მუნიციპატი, ს. ზოდის მიდამოებში (ბრეგვაძეების უბანში), მდ. ნიკრისას მარცხ. ფერდობზე, ზ. დ. 720 მ სიმაღლეზე. ვერტიკალურ ნაკრალში განვითარებული ორშესასვლელიანი სუბპორტონტალური 35 მ სიგრძის გვირაბის ტიპის სიღრუე.



ბრინჯაოს მდგიმის შესასვლელი

ბრინჯაოს (ცუცხეთის IV) მღვიმე – ს. ცუცხეთის ტერიტორიაზე, მდ. შაბათადელე-ჭიშურას აუზი (მდ. ყვირილას სისტემა), ზ. დ. 300 (17) მ სიმაღლეზე. ცუცხეთ-

თის მრავალსართულიანი მდგომოვანის V სართული. ნაპოვნი იქნა გვიან ბრინჯაოს, ენეოლითის, ზედა პალეოლითის, მთელი მუსტიესა და ტაიაკის ხანის ნამარხი ფაუნა: პირველყოფილი ღომბა, კეთილშობილი ირემი, ჯიხვი, მდგომური დათვი, მგელი, ცხენირემი და სხვ. მდგიმის ჯამური სიგრძე 90 მ-ია.

ბუბასგლის მღვიმე – იხ. წონის მდგიმე.

ბუბასგლის I მღვიმე – ჯავის მუნიციპატი, მდ. ყვირილას აუზი, ს. წონას მიდამოებში, ბუბას (ვალხოხის) ქედის ჩრდ. ნაწილში, ზ. დ. 2100 მ სიმაღლეზე. მდგიმის სიგრძე 15 მ-ს აღწევს.

